



საიას განცხადება საყდრისი-ყაჩაღიანში სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით

მედიაში გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 13 დეკემბერს, კომპანია - [REDACTED] A [REDACTED] საყდრისი-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. სამუშაოების განახლების საფუძვლად კომპანიამ, 2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის #03/226 და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის #2/271 ბრძანებები მიუთითა. კომპანიის მხრიდან სამინისტროს და სააგენტოს გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულებამ პრაქტიკულად ეჭვის ქვეშ დააყენა მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა.

სამინისტროს და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მით უფრო შემაშფოთებელია იმ ფონზე, როდესაც დღემდე არ არსებობს ინფორმაცია მიმდინარეობს, თუ არა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოძიება საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე (დაზიანების ფაქტები სათანადო ფორმით დაფიქსირდა 2014 წლის 8 იანვარს და 13 მარტს). სამწუხაროდ, საიას არაერთი მცდელობის მიუხედავად მიეღო ინფორმაცია გამოძიების დაწყება არ დაწყების შესახებ, ამ დრომდე უშედეგოდ გრძელდება.

აქვე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ზემოთ აღნიშნული ბრძანებების საფუძველზე „RMG-Gold A [REDACTED] მიერ საყდრისი-ყაჩაღიანში სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ შემდეგი:

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ვამბობთ სამეცნიერო მიმართულებით გაკეთებებულ შეფასებებზე), არცერც შემთხვევაში არ შეიძლება გამართლდეს ის რასაც ადგილი აქვს საყდრისი-ყაჩალიანში. მითუმეტეს მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების დაჩქარებული წესით დაწყება;

✓[] თუ რატომ უთითებს [] საერთაშორისო ექსპერტების დასკვნაზე და რატომ საუბრობს თვისობრივად ახალი არტეფაქტების აღმოჩენის დაბალ შესაძლებლობაზე, მაშინ როცა ობიექტის კულტურულ მემკვიდრეობრივ ღირებულებას არ განსაზღვრავს მხოლოდ მოსალოდნელი (აღმოსაჩენი) არტეფაქტები. ამასთან, ხელისუფლებამ პრაქტიკულად უარი თქვა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც ბულგარელი და გერმანელი ექსპერტების მიერ იქნა შეთავაზებული.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კვლევების მიხედვით არაერთი კითხვა არსებობს A[] A[] და მასთან დაკავშირებული კომპანიების საქმიანობის თაობაზე. მათ შორის კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი პირობების, გარემოს დაცვის, საეჭვო საფუძვლით ლიცენზიის მოქმედების ვადის უფასოდ გაგრძელების და შესაძლო კორუფციული გარიგებების არსებობის შესახებ. ამ ფონზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები კიდევ უფრო ბევრ კითხვას აჩენს ახალი გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შესახებ.

აქვე გვსურს განვაცხადოთ, რომ საია აქტიურად მიაღწევნებს თვალს საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და უახლოეს მომავალში საზოგადოებას დამატებით ინფორმაციას მიაწვდის.